ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 289

“ 2 ” სექტემბერი 2016 წ.

ქ. თბილისი

2016 წლის 19 აპრილს შპს „ალმა ტრანსპორტსა” (ს/კ 405142821) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N160405188) გათვალისწინებული პირობის შეცვლის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 127[2] მუხლის მე-2 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის31 აგვისტოს №34.07.736 განკარგულების შესაბამისად, შეიცვალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმატრანსპორტს“ (ს/კ 405142821)შორის 2016 წლის 19 აპრილს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №160405188) მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება, კერძოდ, აღნიშნული მუხლის 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს დაემატოს 2.1.10[1] ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„2.1.10[1]. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში „მხარეთა” ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია მოხდეს საიჯარო ხელშეკრულების 2.1 მუხლის 2.1 პუნქტის 2.1.10 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელების ზომებისაგან განსხვავებული პარამეტრების მოსაცდელის მოწყობა ან/და მოწყობილი მოსაცდელის შეცვლა. ამასთან, მოიჯარის მოთხოვნის შემთხვევაში მეიჯარე უფლებამოსილია მოწყობილი/მოსაწყობი საქალაქო ტრანსპორტის მოსაცდელის ზომების პროპორციულად მოახდინოს საიჯარო ნაკვეთების ფართების დაკორექტირება (შემცირება ან გაზრდა) ან/და რეგისტრაცია მოიჯარისათვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით”

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი